

# რეკომენდაციები პირველადი ჯანდაცვისთვის

- ▶ პირველადი ჯანდაცვა მუშაობს ისეთ პირობებში, როდესაც საჭირო ხდება ფრთხილად და სწორად იმართოს არსებული გამოწვევები, რაც ხელს შეუწყობს პარტნიორულ თანამშრომლობას, მოქნილობას და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისი სტანდარტებით ფუნქციონირებას.
- ▶ ახალ პირობებში მუშაობის მთავარი პრინციპია:
- ▶ რაც შეიძლება, სწრაფად გამოვავლინოთ COVID-19 პოტენციური შემთხვევები
- ▶ მოვახდინოთ SARS-CoV-2 (COVID-19) ინფექციის ტრანსმისიის პრევენცია პაციენტებსა და პერსონალს შორის
- ▶ თავიდან ავიცილოთ პაციენტთან პირდაპირი ფიზიკური კონტაქტი, მისი ფიზიკური გასინჯვის ჩათვლით და მათ მიერ გამოყოფილ, რესპირაციულ სეკრეციასთან ექსპოზიცია.

# რეკომენდაციები პირველადი ჯანდაცვისთვის

- ▶ **ზოგადი რეკომენდაციები**
- ▶ პერსონალისთვის, COVID-19 გაზრდილი რისკის პირობებში, მუშაობის მთავარი ამოცანაა - სოციალური დისტანცირება და მაღალი რისკის მქონე პაციენტების/მოწყვლადი ფენების დაცვა COVID-19 -ის მწვავე გართულებებისგან.
- ▶ **R1.** პერსონალი, რომელსაც უწევს მუშაობა აღნიშნულ პირობებში, უნდა მოერიდოს პაციენტთან პირისპირ კონტაქტს, მიუხედავად იმისა, აქვს მას ეჭვი COVID-19 -ის შემთხვევაზე თუ არა.
- ▶ **R2.** აღნიშნულ პირობებში პირველადი ჯანდაცვის პერსონალისთვის, პრიორიტეტულად ითვლება დისტანციური მუშაობა.

# რეკომენდაციები პირველადი ჯანდაცვისთვის

- ▶ R3. პაციენტებს, რომლებიც შეესაბამებიან შემდეგ კრიტერიუმებს და თავს გრძნობენ დამაკმაყოფილებლად, უნდა ერჩიოთ დარჩნენ თემში/ოჯახში. ეს კრიტერიუმებია:
  - ▶ მწვავედ დაწყებული უწყვეტი ხველა და/ან
  - ▶ მაღალი ტემპერატურა
- ▶ R4. რეკომენდებულია განსაკუთრებული სიფრთხილე და კლინიკური სიფხიზლე იმუნოკომპრომენტირებულ პირებში, რომელთაც ხშირად აღენიშნებათ სიმპტომების ატიპურად გამოვლენა.

# რეკომენდაციები პირველადი ჯანდაცვისთვის

- ▶ R6. დაწესებულების მენეჯმენტმა უნდა უზრუნველყოს შესაბამისი პროცედურები, რათა პირველად ჯანდაცვაში დასაქმებულ პერსონალს, საქმიანობის განხორციელებისას, კარგად ესმოდეს და გაცნობიერებული ჰქონდეს ზემოაღნიშნული მთავარი პრინციპები.
- ▶ R7. ყველა პაციენტს დისტანციურად ჩაუტარეთ ტრიაჟი სწორი გადაწყვეტილების მისაღებად, რამდენად საჭიროებს პაციენტის კლინიკური მდგომარეობა პირისპირ კომუნიკაციას. რადგანაც პაციენტთან პირისპირ კონსულტაციის დროს, უნდა განხორციელდეს ინფექციის პრევენციისა და კონტროლის სერიოზული ღონისძიებები.
- ▶ R8. ყველა წინასწარ ჩაწერილ პაციენტთან, ასევე, დისტანციურად განახორციელეთ ტრიაჟი, მითითებული პროცედურის მიხედვით.
- ▶ R9. ინფექციის ტრანსმისიის მინიმალიზაციის მიზნით, რეკომენდებულია, დისტანციური კონსულტაცია.

# რეკომენდაციები პირველადი ჯანდაცვისთვის

- ▶ R12. რეკომენდებულია დისტანციური ტრიაჟისა და კონსულტაციების (ტელეფონით, ვიდეო თუ ონლაინით) სისტემის ამუშავება, რომლის მიზანია COVID-19-ზე საექვო პაციენტების რაოდენობის შემცირება, რომელიც პირდაპირ მომართავს კლინიკას, პაციენტებისა და პერსონალის რისკების მინიმიზაციის მიზნით.
- ▶ შესაძლებელია პაციენტის თვითშეფასების ონლაინ ინსტრუმენტების გამოყენებაც, როგორცაა მაგალითად: <https://covid-19.ontario.ca/self-assessment/#q0> რაც პაციენტის შესაბამისი ცოდნისა და უნარების შემთხვევაში განტვირთავს კლინიკებში ვიზიტებს.

# პაციენტის თვით შეფასების კითხვარის მაგალითი

## COVID-19 თვითშეფასების კითხვარი პაციენტებისთვის

### 1. სახეზეა ქვემოთ ჩამოთვლილიდან რომელიმე სიმპტომი?

- ▶ სუნთქვის მკვეთრი გაძნელება (კერძოდ, გიწევთ ძალისხმევა ჩასუნთქვა - ამოსუნთქვისას, საუბრისას გიჭირთ სიტყვის დასრულება)
- ▶ გულმკერდის მკვეთრად გამოხატული ტკივილი
- ▶ აბნეულობა (მაგალითად, დეზორიენტაცია საკუთარ თავში)
- ▶ გონების დაკარგვა

### 2. სახეზეა ქვემოთ ჩამოთვლილიდან რომელიმე სიმპტომი (ან სიმპტომების კომბინაცია)?

- ▶ ცხელება
- ▶ მწვავედ დაწყებული ხველა
- ▶ ქოშინი (მაშინაც კი როცა ფიზიკურად აქტიური არ ხართ)

### 3. სახეზეა ქვემოთ ჩამოთვლილიდან რომელიმე სიმპტომი (ან სიმპტომების კომბინაცია)?

- ▶ კუნთების ტკივილი
- ▶ დაღლილობა
- ▶ თავის ტკივილი
- ▶ ყელის ტკივილი
- ▶ სურდო

სიმპტომები მცირეწლოვან ბავშვებში შესაძლოა იყოს არასპეციფიკური (ლეთარგია, საკვებზე უარის თქმა და ა. შ.)

# პაციენტის თვით შეფასების კითხვარის მაგალითი

4. ქვემოთ ჩამოთვლილიდან რომელიმე შეესაბამება თქვენს მდგომარეობას?

- ▶ ჩემი ასაკი 70 წელს ზევითაა
- ▶ მაქვს დაავადებები, რომლებიც აზიანებენ ჩემს იმუნურ სისტემას (მაგალითად აივ/შიდსი)
- ▶ მაქვს ჯანმრთელობის ქრონიკული პრობლემა (მაგალითად, დიაბეტი, გულის დაავადება)
- ▶ ვიტარებ მკურნალობას, რომელიც აქვეითებს ჩემს იმუნურ სისტემას (მაგალითად, ქიმიოთერაპიას)

5. მოგიწიათ თუ არა საზღვარგარეთ მოგზაურობა ბოლო 14 დღის განმავლობაში?

- ▶ დიახ
- ▶ არა

6. ხომ არ დაუდგინდა თქვენს რომელიმე ახლო კონტაქტს COVID-19?

- ▶ დიახ
- ▶ არა

7. გაქვთ თუ არა მჭიდრო კონტაქტი პირთან, რომელსაც აღენიშნება მწვავე რესპირაციული სიმპტომები ან ახლახანს იმოგზაურა საზღვარგარეთ?

- ▶ დიახ
- ▶ არა

# პასუხების საფუძველზე პაციენტთა დიფერენცირება

I მაღალი რისკის ჯგუფი (აღნიშნავს დადებით პასუხს რამდენიმე კითხვაზე) - უნდა დარჩეთ სახლში თვით-ზიოლირებულად, რაც ნიშნავს შემდეგს:

- ▶ სახლის დატოვება დასაშვებია მხოლოდ კრიტიკულ შემთხვევაში (მაგალითად გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობა)
- ▶ ნებისმიერი დახმარება მიიღეთ დისტანციურად ტელეფონით, ონლაინ და ა. შ.
- ▶ არ წახვიდეთ კლინიკაში ან ჰოსპიტალში COVID-19 ტესტის ჩასატარებლად ექიმის მითითების გარეშე
- ▶ სიმპტომების გაუარესების შემთხვევაში დარეკეთ ოჯახის ექიმთან ან 112-ში



# პასუხების საფუძველზე პაციენტთა დიფერენცირება

- ▶ II დაბალი რისკის ჯგუფი - დაიცავით სოციალური დისტანცია, რაც ნიშნავს შემდეგს:
  - ▶ შეძლებისდაგვარად დარჩით სახლში
  - ▶ პროდუქტებისა და საყოფაცხოვრებო საგნების შესაძენად გადით კვირაში მხოლოდ ერთხელ
  - ▶ საჯარო ადგილებში სხვა ადამიანებთან დაიცავით მინიმუმ 2 მეტრიანი დისტანცია

# პასუხების საფუძველზე პაციენტთა დიფერენცირება

- ▶ III გესაჭიროებათ შემდგომი შეფასება - დაუკავშირდით თქვენს ოჯახის ექიმს ან დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრს, ასევე გესაჭიროებათ თვითიზოლაცია, რაც ნიშნავს შემდეგს:
- ▶ სახლის დატოვება დასაშვებია მხოლოდ კრიტიკულ შემთხვევაში (მაგალითად გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობა)
- ▶ ნებისმიერი დახმარება მიიღეთ დისტანციურად ტელეფონით, ონლაინ და ა. შ.
- ▶ არ წახვიდეთ კლინიკაში ან ჰოსპიტალში COVID-19 ტესტის ჩასატარებლად ექიმის მითითების გარეშე
- ▶ სიმპტომების გაუარესების შემთხვევაში დარეკეთ ოჯახის ექიმთან ან 112-ში

# კონტაქტების დეფინიცია

- ▶ **მჭიდრო კონტაქტი** - ჯანმრთელობაზე ზემოქმედება განისაზღვრება შემდეგნაირად: ა) COVID-19-ის მქონე პირთან დაახლოებით 2 მეტრი დაშორებით ყოფნა ხანგრძლივი დროის მანძილზე (მაგალითად პაციენტზე ზრუნვა ან პაციენტის მონახულება, ან პაციენტისგან 2 მეტრის დაშორებით ჯდომა მოსაცდელ დარბაზში ან ექიმის გასინჯვის ოთახში).
- ▶ ბ) პირდაპირი დაუცველი კონტაქტის არსობება ინფექციურ სეკრეტთან ან პაციენტის მიერ გამოყოფილ ექსკრეტთან (მაგ.: ხველით, გამოყენებული/დაბინძურებული ქსოვილთან შიშველი ხელით შეხებით).
- ▶ მონაცემები საკმარისი არ არის, რათა ზუსტად განისაზღვროს ზემოქმედების ხანგრძლივობა, თუ რა დროის ხანგრძლივობას მოიცავს. თუმცა, სანამ უფრო მეტი ინფორმაცია არ გახდება ცნობილი გადაცემის რისკებთან დაკავშირებით, გონივრულია, განხილულ ოქნეს რამდენიმე წუთის ზემოქმედებაც, ხანგრძლივ ზემოქმედებად.